№ 180
ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 180
ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილის) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13. ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა 1 სექტემბრიდამ.

(10—181—2)

ახალი ამბავი

⁂ თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ტფილისის ქალაქის მოურავს შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე, რომ სადაც ჯერ არს იშუამდგომლოს და ნებართვა აუღოს ქალაქს, რომ დიდის მთავრის მეუღლის ოლღა თეოდორეს ასულის სახსოვრად დედათა პირველ გიმნაზიის მახლობლად ძეგლი იქმნეს დადგმული და ამ ძეგლისათვის შემოწირულებანი მთელს კავკასიაში შეიკრიბოს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი 19 აგვისტოს დაბრუნდა ტფილისში.

⁂ ქალაქის მდივანს ბ-ნს ჰრელაშვილს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილეისათვის „ტფილისის ისტორიული მიმოხილვა" შეუდგენია. აღნიშნულის მიმოხილვის შედგენის დროს ჰრელაშვილს კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის არხივიდგან ამოკრებული საბუთის ქაღალდებით უსარგებლნია.

⁂ გარდაწყვეტილია მომავლის წლის 1-ლ იანვრიდგან რუსეთის რკინის გზებზედ ტელეგრაფის ზედამხედველთა მოსამზადებლად საპროფესიონალო კურსები იქმნეს გახსნილი ყველგან.

⁂ განზრახვა თურმე აქვთ არსებული ტიპი კბილის სამკურნალო სასწავლებელთა გაუქმებულ იქმნეს და ამათ მაგივრად დაარსდეს კბილის სამკურნალო ინსტიტუტები, რომელთა თეორეტიული კურსიც სამკურნალო ფაკულტეტების კურსზედ ნაკლები არ უნდა იყვეს. ინსტიტუტების კანტროლი საერო განათლების მინისტრს გადაეცემა. განზრახვა აქვთ კბილის მკურნალებს უფლება მიეცეთ მაგისტრისა და დოკტორის ხარისხი მიიღონ. დანტისტებს (რომლებსაც მკურნალების უფლება არა აქვთ) უფლებათ ექმნებათ აღნიშნულ ინსტიტუტების დაარსებიდან

ფელეტონი

—

წერილები ინგლისიდგან.

წერილი 29.

პარლამენტის სესსიის დასრულება.—მისი მნიშვნელობა.—რეაქცია შინაურ ცხოვრებაში; უძლურობა საგარეო პოლიტიკაში.—პოლიტიკურ დასთა დაყოფა და შინაური უთანხმოებანი.

გუშინ დასრულდა პარლამენტის მეტად გრძელი და ამასთან საცოდავი სესსია. უკანასკნელ 60 წლის განმავლობაში ინგლისს არ ახსოვს მეორე ასეთი უნაყოფო და რეაქციონური სესსია.

პარლამენტი, რომელშიაც სალისბურის გვარი *), 120 ხმისაგან შემდგარ უმრავლესობაზედ დამყარებული, თავისის სურვილით განაგებს როგორც ინგლისის სიმდიდრეს, ისე სახელს,—ეს პარლამენტი აღმოჩნდა იმდენად საცოდავი, იმდენად უვიცი არა მარტო საზოგადო პოლიტიკასა და შინაურ საკანონმდებლო საქმეებში, არამედ ამაშიაც-კი, რაც თვით პარლამენტისა და იმის წევრების უფლება-უპირატესობას შეეხება, რომ ყველა დასის გონიერნი წარმომადგენელნი გაკვირვებით ეკითხებიან თავიანთ თავს: „სად მივდივართ? რით გათავდება ყველა ესაო?" თვით უნგრეთი და იტალია, ეს ორი გულწრფელი მეგობარი ინგლისისა კანტინენტზედ, მწუხარებით შეჰყურებენ იმ გარემოებას, რომ ინგლისში საპარლამენტო მოქმედება დამცირდა, რომ შეზღუდულ იქმნა ხალხის წარმომადგენელთა უფლებანი, დემოკრატიის დაუსრულებელ ბრძოლით შეძენილი. შორს რომ არ წავიდეთ, ნახევრად ოფიციოზურმა იტალიანურმა გაზეთმა „Capit. Fracassa"-მ გუშინვე ($^{18}/_{5}$ აგვისტოს) მწუხარებით აღნიშნა, რომ „ინგლისში, როგორც სჩანს, აღარ არსებობს საზოგადოებათა პალატა. პარლამენტი გაჰქრა... ნუთუ იმპერიალიზმმა ბოლო მოუღო ინგლისში საზოგადოებრივ იდეებსა და აზროვნობას?".. და სხვა.

ადვილად მიჰხვდებით მოწინავე კაცთა მწუხარებას და უკმაყოფილებას. პარლამენტის მოქმედება სულ სხვა გზას დაადგა. რა საგანიც-კი აღიძრა ამ უკანასკნელ სესსიის დროს, მისი გადაწყვეტა და თვით მანერა განხილვისა ეწინააღმდეგებოდა ინგლისის პარლამენტარიზმის აზრსა და ჩვეულებას.

უპირატესი საგანი — მთავრობის მიერ გაწეულ ხარჯთა განხილვა, რომლის გამოც პარლამენტის ყველა წევრს შეეძლიან თავისის აზრის გამოთქმა, ბალფურისა და კონსერვატიულ უმრავლესობის მიერ სრულიად გაუქმებულ იქმნა. ხელზედ უდროობა დაიხვიეს. ბალფურისავე წინადადებით ხელად, უკამათოდ გადაწყვიტეს 170 მილიონ მანეთის სესხის აღების საქმე. უფრო ნაკლებ სესხების გამო კამათი სულ მეტად ჩასთვალეს: ბალფური აცხადებდა, ხოლო უმრავლესობა, რომელსაც ხაზინიდგან ჯილდოდ კაი ძალი ფული ეძლევა (შემწეობა მიწად-მოქმედთა და სამღვდელოებას, იჯარები მთავრობისაგან და სხვა), გამოცხადებისავე კამათის დასრულებასა და სესხის გადაწყვეტას თხოულობდა.

უფრო საზიზღარი და გულ-ამღვრევი იყო მთავრობისა და უმრავლესობის საქციელი ახალ სასკოლო კანონის გადაწყვეტის დროს. ორ წინანდელ წერილში უკვე გავაცანით მკითხველებს ეს კანონი, ამიტომ ეხლა აღარ დაუბრუნდებით იმას. მთავრობამ და მღვდლებმა კარგად უწყოდნენ, რომ ხალხს არაფრად ეჭაშნიკება იმათი პროექტი, იმათი სურვილი სიბნელის გამეფებისა; იმის შიშიც-კი ჰქონდათ, რომ პარლამენტში ჩვენი ყურ-მოჭრილი უმრავლესობა მხარს არ დაგვიჭერსო. რადგანაც ძალიან ეშინოდათ ოპოზიციის წარმომადგენელთა სიტყვებისა, მთავრობამ მოითხოვა, რომ თითო ორატორს მხოლოდ ათ-ათი წუთი ელაპარაკნა. ოპოზიციის წარმომადგენელთ ძლივს მოახერხეს რამდენისამე სიტყვის წარმოთქმა, რომ აქეთ-იქიდგან გაისმა: „დავამთავროთ კამათი"... და დაამთავრეს კიდეც. ამ ხანად თვით სამინისტროს მეგობრებსაც-კი შერცხვათ ამგვარ საქციელისა; ამით აიხსნება უთუოდ, რომ კანონის გადაწყვეტის დროს სამინისტროს უმრავლესობა 120-დგან 17-მდე ჩამოვიდა.

მაგრამ ლორდთა პალატამ გადააჭარბა დამცირებულსა და ჩაგრულს საზოგადოებათა პალატას. კეთილშობილმა ლორდებმა გარდასწყვიტეს, რომ Trade-Union-ი (მუშათა კავშირი) იურიდიული პირია, ამიტომ იგი პასუხის მგებელია თავის კერძო წევრთა და ჯგუფთა საქციელისათვისაო. ამ სამარცხვინო გადაწყვეტილებით უნდათ მიწასთან გაასწორონ მუშათა კავშირები, უნდათ ერთის დაკვრით გააუქმონ ის უფლებანი, რომელნიც ხალხმა წარსულ საუკუნეში დიდის მეცადინეობისა და ხანგრძლივ და ცხარე ბრძოლის შემდეგ მოიპოვა.

აი საქმე როგორაა. როდესაც კავშირი ან იმის რომელიმე ნაწილი შეთქმულებას ახდენს და მუშაობაზედ ხელს იღებს, ხშირად შეთქმულნი ამხანაგებს, არა შეთქმულთაც, ურჩევენ ხოლმე მუშაობის აღკვეთას. კანონი ასეთ საქციელს სასტიკადა სდევნის; იგი თავისუფლების წინააღმდეგ და კონსტიტუციის უფლებათა დამარღვეველ მოქმედებად მიაჩნია. ეს კანონი ეგრედ წოდებულ „პიკეტაჟის" წინააღმდეგ კანონია. დღემდე ქარხნის პატრონთა და მოხელეებს შეეძლოთ მხოლოდ იმის სამართალში მიცემა და დასჯა, ვინც მუშებს აქეზებს და მუშაობაზედ ხელს აღებინებს. დღეის შემდეგ-კი, ახალ გარდაწყვეტილების ძალით, პასუხის მგებელი მთელი კავშირი ხდება. წარმოიდგინეთ, ბირმინგამში შეთქმულება მოხდა. ზოგიერთ ბირმინგამელ შეთქმულთა საქციელისათვის, ბრწყინვალე ლორდთა გადაწყვეტილებით, პასუხი უნდა აგოს კავშირის ყველა წევრებმა, იმათაც-კი, ვინც ლონდონსა, მთელ ინგლისსა და, ასე გასინჯეთ, ავსტრალიაში სცხოვრობენ (ავსტრალიაში ინგლისის Trade-Union-ის რამდენიმე ათასი წევრი მუშაობს).

რეაქციონერნი სიხარულს მიეცნენ: ეხლა-კი, როგორც იქმნა, ჩამოვართმევთ ხალხს ბრძოლით მოპოვებულს უფლებებსაო, ჰფიქრობენ ისინი. მაგრამ ასე-კია? შესძლებენ-კი თავიანთ განზრახვის განხორცი-

---

*) დღევანდელ სამინისტროში 5 კაცია სალისბურის გვარისა: თვით მოხუცი, შვილი, ორი ძმის წული, და სიძე.

ეროვნული

ხუთის წლის განმავლობაში ახალი ინსტიტუტების პროგრამით გამოცდილ იქმნენ და მიიღონ უფლება პრაქტიკისა, წინააღმდეგს შემთხვევაში პრაქტიკის უფლება მოესპობათ.

⁂ საგუბერნიო ადმინისტრაციას განკარგულება მოუხდენია, რომ აგურის ქარხნების პატრონებს ამიერიდგან მაზუტის ხმარება აღუკრძალონ და ქურები შეშის სახმარებლად მოაწყონ.

⁂ პეტრე-პავლეს სამრევლო-საეკკლესიო სკოლაში მისაღები გამოცდა ბავშვებისა 27 აგვისტოს არის დანიშნული.

⁂ კავკასიაში სტუდენტთათვის სანატორიუმის დაარსების აზრს საერო განათლების სამინისტრო თანაგრძნობით შეჰგებებია.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა მოხდება ორშაბათს, 3 სექტემბერს. სხვათა შორის ამ კრებაზედ განიხილავენ გუბერნატორის წინადადებას ქალაქის ხმოსნების არჩევის შესახებ.

⁂ 20 აგვისტოს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სადგურის რკინის გზის ლიანდაგზედ მიმავალი ტელეგრაფის განყოფილების მოსამსახურე იოსებ მაჭავარიანი გაუფრთხილებლობის გამო საცდელად გამოსულს ორთქლმავალს ქვეშ ჩაუვარდა და თავში საშინლად დაშავდა. მაჭავარიანი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ კვირას, 19 აგვისტოს, პოლიციის მე-10 ნაწილში, მიხეილის პროსპექტზედ ტფილისის მცხოვრები მეეტლე კარაპეტ ბაბაევი ეტლით წამოეწია 12 წლის გარეგინ მარტიროსოვს, რომელიც ქვეშ მოიტანა და მარჯვენა ხელი მოსტეხა. დამნაშავე პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

კავკასიის მომავალი გამოფენა

—

ფრანგულს გაზ. „De Journal“-ს კავკასიის გამოფენაზედ თავისი საგანგებო კორესპონდენტი ბ-ნი პლანი გამოუგზავნია.

⁂

კ. გ. ცოგუილაშვილს ძვირფასი ძველი (ქრისტეს დაბადებამდე) ვერცხლისა, შუშისა და ტერრაკოტის (გამომწვარ მიწის) სხვა-და-სხვა ხელოვნური ნაწარმოებნი(მაგალითად, ქანდაკებანი, ფიალები, ვაზები და სხ.) წარუდგენია გამოსაფენად.

⁂

ყუბანის საეკონომიო საზოგადოებისაგან გუშინ, 21 აგვისტოს, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კამისარს მოუვიდა ოთხი დიდი და ოთხი პატარა ვერცხლისა და ოთხიც ბრინჯაოს მედალი გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების დასაჯილდოებლად.

⁂

ამ დღეებში კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიისაგან სამეურნეო გამოფენის გამგე-კომიტეტს მოწერილობა მოუვიდა იმის შესახებ, რომ კავკასიის გამოფენა თავის მფარველობის ქვეშ მიიღო მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ.

⁂

გუშინწინ გამოფენის გამგე კომიტეტმა მიწერილობა გაუგზავნა გამოფენის პირველისა,მეათისა, მეექვსისა, მეთოთხმეტისა და მეთვრამეტე განყოფილების გამგეთ, რაც შეიძლება დააჩქარონ მუშაობა და საქმე დროზედ მოასწრონ.

სამცხე-საათაბაგოს ნაოხრები

(მგზავრის შენიშვნანი)

II

სამცხე თრიალეთსა და წალკას აკრავს დასავლეთით უშველებელი ფარვანას ტბა და აქედან გამომდინარე ჯავახეთის მტკვარია მათ შუა მიჯნათ. თრიალეთიდან ზედ ამ მიჯნაზედ ადენილა სავაჭრო გზა, რომელიც, ამობენ, ინდოეთიდან იყო წამოღებულიო, მიდიოდა ფარვანის ტბის-პირს, მერე ჯავახეთ-კარწახს გადადიოდა დ ჩადიოდა ტრაპეზონს, შავიზღვის პირასაო.

ნიშნები ამ გზისა დღესაც სჩანს ქარვასლების ნანგრევებით, რომლებიც ყოფილან გზის-პირად გამწკრივებულნი. ერთი ქარვასლა კარგად შენახული თვით თრიალეთზეა, მეორე თრიალეთის მაღლა მთებში, რომელსაც საიდანღაც „ეშაქ ქარვასლას“ ეძახიან, და მესამე ვეება ალაყაფის კარებით და გალავნის ნანგრევებით ზედ ტბის-პირას არის.

ფარვანის, ანუ თოფორავანის ტბა 25 ვერსტზეა აქ გაჭიმული აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ნაპირები უწინდელ ქართველ სოფლების ნანგრევებით და საყდრებით არის მოფენილი. ნანგრევებზედ ამ სამოც წლებში დასახლებულან დუხაბორთ სოფლები ჩაშკა, ტამბოვკა და კრუა სომეხთ სოფლები ფოკა და განძა. ზედ მისავალში ტბასთან მშვენიერ ვაკეზედ უშველებელი (3 საჟენი) ქვის ჯვარია დასობილი.

თოფორავანის ტბიდან გამოსული ჯავახეთის მტკვარი ს. განძას რომ გასცდება, იქვე ღრმა და მშვენიერ ტბაში შედის, რომლის ნაპირზედ გაჭიმულია სოფელი საღამო, ოთხი მშვენივრად შენახული თლილი ქვის ეკლესიით, ზედ ქართულის წასწერებით. აქედან სამხრეთით გადაჭიმულია კარწახამდე და არტანამდე მშვენიერი გრძელი მთა-ვაკე თავისის ტბებით, ქართველთ სოფლების ნაოხრებით და ბევრგან შერჩენილ საყდრებით. აქვეა ის „შაურძის“ ტაძარიც, პ. როსტომაშვილმა თავის ჟურნალ „მოგზაურის“ № 3 რომ აღწერა.

სოფელ განძის ხიდს რომ გახვალთ, აუვლით განძის სვეტს *) და დაადგებით ახალქალაქის გზას აბულების ძირში—ეს არე-მარეც სავსეა ქართველ სოფლების ნანგრევებით, დაცულ თლილი-ქვის ეკლესიებით, აგრეთვე მათი ნანგრევებით, მშგენიერად შენახულ ქვითკირ-ჩადულაბებულ წყაროებით. თვით გზის პირს მისდევს უშველებელი თლილი ქვის სვეტები. ნაოხრებზედ მოთავსებულან დუხაბორების სოფლები: ბულდაშენი, ვარანცოვკა, ყოჯაბეგი, სომხების ჯიგრაშენი და მრავალი ქურთის სოფლები ჩილდირისტბამდე კასწახამდე, მხოლოდ აბულის ძირებზედ კათოლიკეთ სოფლები: ეშტია, უჯმანა, ჯანჯულა, თორია, კარტიკამი, ბავრა.

როცა ამ მიდამოებს ათვალიერებ, გაკვირვებს სიუხვე აქაურის შავის მიწისა: ქერისა და დიკის თავთავი სიმძიმისაგან მიწას გაჰკვრია, ბალახის სიკეთე, სავსე აუარებელი ტურფა და უცხო ყვავილებით, გულში სიამეს გგვრის. თივას აქაური დუხაბორები „ჩაის“ ეძახიან. აქაური თაფლი ადგილობრივ 10 მანეთად გადის ფუთი. ტბების პირს მყოფ სოფლების წყლები იხვ-ბატით სავსეა. საქონელი მსუქანი და მშვენიერი, კალმახი და სხვა თევზები მრავალი და მეტად გემრიელი. ცივი წყაროები და ჰავა ხომ სანატრელი.

მიტომაც არ გიკვირთ, როცა ჰხედავთ, რომ ამ 50 წლებში დასახლებულ ბედხეირ მოსაქმე კრუასომხებს ს. განძაში, რიცხვით 160 კომლს, ახლა 18,000 ცხვარი ჰყავთ, 10,000 მეტი რქიანი საქონელი; ბევრი გლეხი საზამთროთ ას ურემ ძვირფასს თივას ინახავს; სასოფლო თლილი ქვის ეკლესია აუშენებიათ და 60,000 მან. დასჯდომიათ!!... ასევე გამდიდრებულან ბეთხეირი კრუა-სომხები ფოკას დ ჯიგრაშენს.. კათოლიკეთ სოფელს ეშტიაში ეკლესიას აშენებენ, რომელიც 18,000 მანათი უჯდებათ, თუმცა
თლილი ქვის მასალ
თველთ გაუქმებულ ეკლესიებ
ალიან.

ნაოხრებით აქ ყველგან ჰზღუდე
სათივეებს, სათიბ-სახნავებს. განძა-
ში უხსოვარ დროიდან მტკვარზე
დარჩენილა ქვიტკირის ხიდი. აქვე
ორი მშვენიერი თლილი ქვის ეკლე
სიანი წარწერებით. *)

სომხების, თათრების და ფრან-
გების სოფლებში ნაოხრები მეტა
თვალ-საჩინონი არიან დღესაც
მხოლოდ სულ სხვას ჰხედავთ დუ
ხაბორების სოფლებში: ამათ ძირია-
ნათ მოუთხრიათ ყველაფერი და
თავიანთი მშვენიერი სახლები დაუ
დგავთ კოპწიათ, მწკრივზედ.

კავკასიის დუხაბორთა საზოგადო
ბანი (ОБЩИНЫ) ამ მდიდარ მიდა
მოზედ აჰყვანდნენ. ცქიტი ამათი
ერობულის და კომუნალურის ცხოვ
რებისა აქ იყო, ს. ბულდაშენში
ლუკერია კალმიკოვისა, ეს მეუ
წინასწარმეტყველი დუხაბორებისა
აქ მოსახლობდა. თუკი უქნარა კრუ
მა მცირე ხანში მოახერხეს აქ გამ
დიდრება, დუხაბორებს ხომ სუ
არ გაუჭირდებოდათ,—იმიტომ სიმ
დიდრემ და კომუნალურმა მუშაო
ბამ აადლევა დუხაბორები. კომუ
ნა მიინგრ-მოინგრა და მის მაგიერა
მრავალ თუმნიანი შეძლების დუხა
ბორები: ვერიგინი, პაპოვი, ზუ
კოვი, ვერეშჩაგინი და სხვები მრა
ვალნი დარჩნენ, რომელნიც მტა
ცებლობა-გაუტანლობაში რუსეთი
„კულაკების“ ღვიძლი ძმები არი
დღეს. დუხაბორობამ მეტად მალ
გაიხადა კეთილ-სინიდისერობის ქე
რქი—დღეს ესენი უბირი, თავი
კენ მთლელი „მუჟიკები“ არიან
სხვა არაფერი.

ერთი რამ სიამოვნება გველ
გულში მხოლოდ მაშინ, როდესა

---

* „მოგზაური„ № 2.

*) წარწერებს თავის დროზე გამო
ქვეყნებ. ავტორი.

ელებას?.. საეჭვოა. ომის წყალობით გამოწვეული აღტაცება და აღფრთოვანება უკვე ნელდება ხალხში. გასაოცარმა ხარჯებმა, გადასახადების გადიდებამ, ვაჭრობა-მრეწველობის დაცემამ, დევნამ სასკოლო საქმეში, ბრძოლამ მუშათა კავშირების წინააღმდეგ,—ყველა ამან გამოაფხიზლა ბრბო და ხალხში ეხლავე წუთიერის გამარჯვებით გალაღებულ რეაქციონერთა წინააღმდეგ არა საკეთილო განზრახვანი იკიდებენ ფეხს.

რა სახეს მიიღებს უკმაყოფილება? რომელი დასები გამოვლენ ხალხის მოთხოვნილებათა გამომხატველად?—ძნელია წინ და წინვე ყველა ამის განსჭვრეტა, მაგრამ ერთი რამ-კი გადაჭრით შეიძლება ითქვას: ხალხის მოთხოვნილებათა გამომხატველად არ გამოვა არც ერთი საოპოზიციო დასი იმ სახით, რა სახითაც ეს დასები დღეს მოქმედებენ.

გაუზვიადებლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ დღეს ინგლისშია რც ერთი ისეთი დასი არ არის, რომლის მომხრეც ამომრჩეველთა უმრავსელობა იყოს. თვით რეაქციონერთა უმრავლესობა, რომელიც ესოდენ გაბატონდა პარლამენტში, ნამდვილ ტორიებისა და ლიბერალ-უნიონისტების კოალიციის ნაყოფია. როგორც ვუწყით, ამ ლიბერალ-უნიონისტებს დევონშირის ჰერცოგი და ჩემბერლენი წინამძღოლობენ. წინანდელი ლიბერალები, ამ ვაჟბატონების მომხრეები, ხშირად უხერხულობასა ჰგრძნობენ, რადგანაც რეაქციონერებს მისჩანჩალებენ და სალისბიურის პოლიტიკის იარაღს შეადგენენ. მაგრამ ტრანსვაალთან ომის საქმეში თვით იმათმა საკუთარმა წარმომადგენელმა ჩემბერლენმა მტაცებლობითა და სასტიკობით ყველა კონსერვატორს გადააჭარბა: დღეს საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ ყოველგვარი საზიზღრობა, სამხრეთ აფრიკაში ჩადენილი—სახლების განადგურება, სამხედრო ბანაკებში დედაკაცებისა დ ბავშვების დაწვა, დევნა-დაწიოკება, უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა, ჩემბერლენის მოქმედების ნაყოფი იყო; ყოველივე ეს იმის შთაგონებითა დ განკარგულებით და უნიონისტთა, ამ ყოფილ ლიბერალთა და რადიკალთა, მოწონებით მოხდა.

საშინაო პოლიტიკაში უნიონისტებს გულით ჰსურთ ტორიების თავიდგან მოშორება, მაგრამ ამისათვის ჯერ საკმაო ძალა არ შესწევთ. ასე რომ არ იყოს, სალისბიურს აქამდე ათჯერ გადააბრძანებდნენ და იმის ადგილას დევონშირის ჰერცოგს დასვამდნენ, ხოლო ბალფურის ადგილას—ჩემბერლენს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ უნიონისტები ამ მხრივ დიდი ხანია მეცადინეობენ. მკითხველის გასაოცებლად მეტსაც ვიტყვით: საქმის ვითარება აშკარასა ჰყოფს, რომ ინგლისის პოლიტიკის ბატონებად შეიქმნებიან სწორედ ეს უნიონისტნი, მაშასადამე, იმათთან ერთად ჩემბერლენიც. საჭიროა მხოლოდ,რომ უნიონისტნი გრეისა,ასკიტისა, გოლდენისა დ როზბერის ფრაქციის ლიბერალ-იმპერიალისტებს შეუერთდნენ. ამ მხრივ საქმე კეთდება კიდეც: რაც დრო და ხანი გადის, უნიონ-იმპერიალისტები და ლიბერალ-იმპერიალისტები უფრო და უფრო ახლოვდებიან.

დასახლებული ვაჟბატონები, განსაკუთრებით ასკიტი და გრეი, უპირველეს ყოვლისა დიდი ძალისა და პოლიტიკურ გავლენის მქონე ხალხია. ნიჭი და ფართო პოლიტიკური შეხედულება მათ არ მოეპოვებათ. მაგრამ ორნივენი, როგორც ამობენ ხოლმე, საქმის კაცები არიან. საინტერესოა განსაკუთრებით წარსული ასკიტისა, ამ თავმოყვარე და თვით-კერძა საქმის კაცისა. ოდესღაც რადიკალურ მიმართულობის ვექილი, ვილლიამ მორრისის მეგობარი რამოდენამდე მარქსისტი, ასკიტი გლადსტონს წარუდგინეს როგორც ახლგაზრდა საპოლიტიკო მოღვაწე, რომელსაც სალიბერალო სამინისტროში შეუძლიან განდგომილ ჩემბერლენისა ან ჩარლზ დილკის ადგილის დაჭერაო. და მართლაც, გამოცდილი საქმის კაცი და ვექილი მშვენიერ თანაშემწედ გამოდგა. მაგრამ აი გლადსტონი სამოქმედო ასპარეზს განშორდა, მალე გარდაიცვალა კიდეც. ასკიტი, რომელმაც მეტად მდიდარი ქალი შეირთო და არისტოკრატიაში, განსაკუთრებით სამოსამართლო და საფინანსო არისტოკრატიაში, გზა გაიკვლია, მზად იყო სალიბერალო დასის მეთაურად ლორდ როზბერი ეცნო. მაგრამ უკანასკნელის წასვლის შემდეგ საქმე აიწეწ-დაიწეწა; მალე ხრიკებმაც წამოჰყვეს თავი.

არავინ უწყოდა, ვინ იყო ამ ხრიკების დამწყობი და ავან-ჩავანი. საქმე საქმეს მიჰყვა და ბოლოს ამ ხრიკებმა სალიბერალო დასში ის განხეთქილება გამოიწვია, რომლის შემდეგაც ოპოზიციის ბევრი წევრი ჩემბერნელის ძარცვა-გლეჯისა და მტაცებლობის პოლიტიკას მიემხრო.

მაშინ ჯონ მორლეი, ყოველთვის პირდაპირი და პატიოსანი ჯონი, გამოვიდა ინტრიგანების წინააღმდეგ და შეუდგა მათ მხილებას. მოულოდნელად, ყველას განსაცვიფრებლად, პასუხის გაცემა ასკიტმა იტვირთა, იმ ასკიტმა, რომლის მონაწილეობასაც ხრიკებში ორის-სამის კარგად ჩახედულის კაცის გარდა,
არც-კი ვინმე ჰფიქრობდა *). რა
ერთხელვე ალაღო ბაგენი, ასკი
იმის თქმაც მოუხდა, რასაც მოწ
დინებული არ იყო. ასკიტმა სწო
რედ პარლამენტის სესსიის დასრუ
ლების დროს ილაპარაკა, სალიბერა
ლო ოპოზიციის მოხუც წინამ
ღოლის გარკუტის შემდეგ; ი
იცავდა ჩემბერლენის უკანასკნე
პროკლამაციას და დევნა-დაწიოკე
ბის პოლიტიკას; იგი ვექილისა
მოხელის ენით ლაპარაკობდა, ხ
ლო პალატა და განცვიფრებულ
ოპოზიცია სულ-განაბული უსმენდ
ასკიტმა სრულიად აიხადა ნიღაბ
ეხლა სასარგებლოც-კია ესა. იმასა
გრეისთან ერთად გადადგა პალატ
57 წევრი; იმათ შორისაა ლორ
როზბერი, სესილ-როდსი, მილნერ
ე. ი. სალიბერალო არისტოკრ
ტია, ოქროს ტომარა და იმპერია
ლიზმი. ეხლა იმათ ჩემბერლენსა
უნიონისტებთან ერთად შეუძლიან
შეადგინონ ახალი საპოლიტიკ
დასი, იმპერიალისტთა დასი.

სალიბერალო დასი? ამ დასს ორ
გზა აქვს: 1, ან უნდა იმპერიალ
სტთა მაგალითს მიჰბაძოს და გ
უდგეს გლადსტონისა, კობდენ

---

*) ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინა
ამ წვრილმანების გამო. მაგრამ ეხლა ა
ლი საპოლიტიკო დასები სდგება და,
რე თუ გვიან, მათ დიდი გავლენა ექ
ბათ საქმის მსვლელობაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივრად მოხატულ ფურგუნებს,
და 6 საუკეთესო ცხენით შებ-
ულს, რომელსაც თავს ძლივ
ის უშველებელი ტანის დუხა-
ი, ან თეთრად ჩაცმული ტანო-
დუხაბორის ქალი—უშიშრად
როლებენ დუზ ვაკეზედ, მშვე-
მოლზედ, ლურჯ ტბის პი-
ზედ...

თოლიკეთ სოფელ თორიაში
მშვენიერი თლილი ქვის ეკ-
ია სდგას. გავლის დროს დავი-
ეთ, რომ ერთ მათგანს ანგრევდ-
აცლიდნენ თლილ ქვებს და
ნდნენ ქვიტკირის გულს. გუ-
დამექეჯნა, როცა ვნახე იქი-
მოტანილი თლილი ქვები წარ-
ებით; დაყირავებულის ჯვრე-
და ჩუქურთმებით უგზო უკ-
თ მიეტანათ და მეორე ეკლე-
ს ახმარებდნენ მასალად. წარწე-
ნი გადავიღე. იქ მყოფი ვართა-
ი (პატრი) და ერი ვამხილე,
ცხვინე...

მათ დიდათ გაუკვირდათ, რომ
ურჯი-ქეშიში" გავჩნდი მათში,
ლდესაც აქამომდე სულ „პაიოსთ-
მიშები" მოდიან აქ და არამც
გვიკრძალავენ ნაშთების ნგრე-
ს, გვირჩევენ კიდეცო".*) მე შე-
ითხე—თქვენც „პაიოსები" სომ-
ი არა ხართ მეთქი? მაგრამ მათ
დათ ეწყინათ.—„ჩვენ ფრანგი,
ანგიო!" იძახდნენ ისინი ამაყად
სომხობას შორს იჭერდნენ.

„თქვენ ყარსის სამაშალიყოდან
ლმოგასახლეს რუსებმა ამ 60 წლებში, იქ ფრანგისტანი ხომ არაა,— იმიტომ თქვენ სომხები ხართ ტომით, რჯულით-კი ფრანგები მეთქი, ვეუბნებოდი მათ. მაგრამ ესენი მეტის წყენით ამბობდნენ: „ჩვენ სომხები არა ვართო"... ასეთსავე მოვლენას შევხვდი ეშტიაში, ჯანჯღაში, კარტიკამში და ბავრაში. აქ ყველგან სომხობის შესახებ შეურიგებლივ ლაპარაკობენ.

კარტიკამსა და ბავრაში ჯავანქართველნიც არიან გაფრანგებულნი და უმეცრებისა გამო ესენიც გზა-დაკარგულ გვარ-ტომობის კაცებს წარმოადგენენ. ესენიც მარტო ფრანგობით იბღინძებიან. კაპუცინის ბერები, რომელთაც ესენი „სკაპიცებს" ეძახიან, მეტად დიდრამეთ მიაჩნიათ და დიდებით მალიმალ იხსენიებენ. საზოგადოთ აქ დასახლებული კათოლიკეები, თუმცა ყარსიდან გადმოსულან, მაგრამ, ვგონებ, ტომით სომეხნი არ უნდა იყვნენ, არამედ აისორები, ან სხვა რამ მცირე მოდგმა, კაპუცინების წყალობით გაფრანგებულნი.

როდესაც ამ მდიდარ მხარეში შევექცევოდით უგემრიელეს კალმახს, უმტვერო ქაღალდივით თეთრს დიკის ლავაშს, ერბოთ ქცეულს ყველს, სურნოვან ნადებს, კარაქს და კახურის მაგიერ ცივ წყაროს წყალს ვაყოლებდით, უნებურად ქართლ-კახეთის სივიწროვე და გლეხთა გაჭირება გვაგონდებოდა. იქ გლეხმა თავისი ლორი თოკით უნდა გამოიყვანოს, რომ სხვისა მამულში არ დადაუვიდეს, აქ კი ასი ურემი ძვირ ფასი თივა უნდა გათიბოს ზამთრისთვის. იქ თეფშის ტოლა ეზოში ეზოს ფული უნდა მისცეს ბატონს, კაბდოს ოტოლა ვენაში—კულუხი, აქ კი უბრალო აჩეჩათი კრუა-სომეხმა, ველურმა თურქმა ზელლები დაიმსოს ქერდიკით!...

მღვდელი ზაქარია გულისაშვილი

(გაგრძელება იქნება)

---

*) ვარძიის ბერმა მამა მათემ მიამბო, რომ
თორიაში ეკლესია რომ დეენგრივნათ,
ამებში თლილი ქვის ყუთი ყოფილიყო,
ელშიაც ქართული ხელთ-ნაწერი დე-
ლიყო. თვით ყუთი ამ ბერ-მონაზონს
ხა, ხოლო გუჯრის შესახებ ეთქოთ, რომ
ხელშიაც არის, შინ არ არისო. მე სხვა
თ წამოველ და იმიტომ ვერ მოვიკით-
ეს დოკუმენტი იქნება ვინმემ ხელში
გდოს და წერა-კითხვის საზოგადოებას,
საუკეთესო მუზეუმს გადასცეს.—

დაბა და სოფელი

—

სოფ. ფარცხმა (გურია). 8 ივლისს ბ-ნის ვ. ვ. ქეღრბაქიანის თავმჯდომარეობით ჩოხატაურის მეეტლეთა ამხანაგობას კრება ჰქონდა. კრების გახსნისათანავე განხილულ იქმნა ანგარიში ამხანაგობის დაარსებიდგან (1900 წ. სექტემბრის 28) დღემდე და აღმოჩნდა, რომ პაების გასყიდვით შემოსულა 7,132 მან., ხოლო დახარჯულა 7,139 მან. 27 კაპ. შესაძენად ორის დილიჟნისა, ოთხი (ძველი) ფაეტონისა, სახლებისა და ამათ მოწყობილებისა. მგზავრთა მიმოსვლას ამავე დროს მოუცია 5,575 მან. 54 კაპ.; აქედან ამ ხნის განმავლობაში სხვადა-სხვა ხარჯი ყოფილა სულ 5,248 მან. 7 კაპ., ასე რომ ყოველსავე ხარჯს გარდა ამხანაგობას ჰქონია 327 მან. 47 კაპ. წმინდა მოგება და ამასთან კიდევ სიმინდი და თივა 225 მან. და 20 კაპ. პაებიდგან შემოსულზე ექვსი მან. და 73 კაპ. მეტია დახარჯული და არ ვიცით, რად არ არის გამორიცხული.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა.

შემდეგ კრებამ განიხილა გამგის მიერ წარმოდგენილი საკითხი: 1) დაწესდეს ეტლით მიმოსვლა ხიდისთავ-ჩოხატაურს შუა, 2) აილონ სახელმწიფო ფოსტის მოთხოვნილებათა შესრულება და 3) საბჭოს დაარსება. რადგანაც კრებამ ამ საკითხის შესახებ ვერაფერი ვერ გარდასწყვიტა, ამისთვის კრებამ ამოირჩია შვიდი კაცი საბჭოს წევრად, რომელთაც დაავალა ყოველ თვის პირველს რიცხვში ამხანაგობის შემოსავალ-გასავალი და მმართველისა და ხაზინადრის მოქმედება განიხილონ ხოლმე. გარდასწყვიტეს აგრეთვე, გამგემ საბჭოს ჩვენებით იმოქმედოს, და დაადგინეს 1900 წ. 20 დეკემბრის ოქმით არჩეულნი სარევიზიო კომისიის წევრნი განთავისუფლებულ არიან მათის ვალდებულობისაგანო; ამათ მაგიერად ამოარჩიეს სამი კაცი.

ამ ეტლებითა და დილიჟნებით მიმსვლელ-მომსვლელმა საზოგადოებამ ამ ხნის განმავლობაში სარგებლობა ნახა სულ 5,575 მან. 54 კაპ., რადგანაც წინედ ერთი კაცის წაყვანა მანეთი ღირდა და ეხლა-კი 50 კაპ. ამ რიგად, თუ თვითო მანეთს ვიანგარიშებდით, 11051 მან. და 8 კაპ. დაიჭერდა, რაიცა სწორედ ნახევრით მეტი იქმნებოდა. ოქმზედ ხელის მოწერის დროს წევრებთაგანი ძლიერ ცოტა-ღა დარჩა, მაგრამ განაჩენი მაინც კანონიერად იქმნა მიღებული... თუ საქმეს გონივრულად გაუძღვებიან და წარმართავენ, ეს ამხანაგობა ბევრს სასარგებლო საქმეს მოახერხებს ჩვენში.

მუდმივის ავდრიანობისა გამო თითქმის, უიმედოთა ვართ ჭინახულზე; იზაბელამ სულ იკლო. თუ აქამდე გასასყიდიც იშოვებოდა, ეხლა სამყოფი არავის მოუვა. სამაგიეროდ ნიგოზი წელს ბევრია და კარგიც არის.

ფ—ი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

20 იგვისტო

პეტერბურგი. მთავრის ევგენი მაქსიმილიანის ძის რომანოვსკის გვამს სამშაბათს, 21 აგვისტოს, მოასვენებენ ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

პარიჟი. გაზეთ „Drap"-ში დაბეჭდილია „დერულედის ბრძანება", რომლითაც პატრიოტთა ლიგის პრეზიდენტი სთხოვს მეგობრებს და ნაციონალისტებს, დაივიწყონ შინაური უთანხმოება, სანამ რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში დარჩება და გვერდში ამოუდგნენ პრეზიდენტ ლუბეს, რომელიც ძვირფას სტუმრებისათვის მხოლოდ საფრანგეთის წარმომადგენელია. „სანამ რუსეთის იმპერატორი, ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში, საფრანგეთის სტუმარი იქნება, ლუბე ჩვენთვის მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტი უნდა იყოს. თავი დავანებოთ უთანხმოებას, წავიდეთ დიუნკირხენსა და რეიმსში და ერთად მივესალმოთ ჩვენს მოკავშირეს ამ სიტყვებით: „გაუმარჯვოს ხელმწიფეს, გაუმარჯოს საფრანგეთს!" რათა იმპერატორმა არ შეამჩნიოს ის საშინელი განხეთქილება, რომელიც სამი წელიწადია, ჩვენს შორისაა."

კოპენჰაგენი. ამალიენბორგის სასახლეში მეფემ მიიღო სახალხო პროცესია, 8,000 კაცისაგან შემდგარი, რომელმაც მადლობა მოახსენა მეფეს მინისტრების გამოცვლის გამო. განსაკუთრებული დეპუტაცია, გლეხის ოლე იენსონის მეთაურობით სასახლეში მივიდა და წარუდგა მეფეს, რომელთანაც იყვნენ სამეფო სახლის ყველა წევრნი, სხვათა შორის, რუსეთის ქვრივი დედოფალი, ინგლისის დედოფალი და საბერძნეთის მეფე. დეპუტაციის წინამძღოლმა მადლობა გამოუცხადა მეფეს იმ ნდობისათვის, რაც მეფემ ხალხის უმრავლესობას გამოუცხადა. მეფემ უპასუხა: „გმადლობთ, ბატონებო—15 ივლისი ჩემთვისაც საგულისხმო დღეა, რადგანაც ეს დღე დასაწყისია ნაყოფიერ შრომისა სამშობლოს საკეთილოდ. მე მოვიწვიე ეხლანდელი მრჩეველნი და სრული ნდობა მაქვს მათის ნიჭისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნდობა არ გამიმტყუნდება; სა-

---

მილლის დიდებულს ტრადი-
ებს; ან კიდევ 2, შეუერთდეს
ადიკალებს, თვისს შორის ად-
ლი დაუთმოს მუშათა ორგანიზა-
იებისა და დასების წარმომადგე-
ლთ და სამოქმედოდ ძირითად
ოციალურ რეფორმების პროგრა-
თ გამოვიდეს. პირველ შემთხვევა-
სალიბერალო დასს გადაგვარება
ოელის, მეორე შემთხვევაში—თუ-
მორლეის მოწოდებას შეისმენს,
დასი, ნამდვილ ხალხზედ დამყა-
ებული, გააცხოველებს ინგლისის
ნებრივ, ინდუსტრიალურ და პო-
იტიკურ ცხოვრებას. საუკეთესო
ცნი ლიბერალთა შორის უკვე
გრძნობენ ამ დილლემას. გულ-
ფელი მოღვაწენი შეუდგნენ კი-
ეც რადიკალთა მოწინავე დასებ-
ა და სოციალურ რეფორმატორებ-
ან დაახლოვებას.

ამ უკანასკნელთა შორის წე-
რთა სიმრავლით პირველი ადგილი
„მუშათა დამოუკიდებელ დასს"
უჭირავს, რომელსაც პარლამენტში
რთი დეპუტატი ჰყავს—კეირ-ჰარ-
დი; მეორე ადგილი—„საერო დე
ოკრატიულ ლიგას", რომლის ორ-
ანოც, „Reynold's Newspaper"-ი,
ეტად გავრცელებული და გავლე-
ანი ყოველ კვირეული გაზეთია
ნგლისში; მესამე — „სოციალ-დე-
კრატთა ფედერაციას"; ეს დასი
ედნად მრავალ-რიცხოვანი არ
არის, მაგრამ იმის წევრთა შორის ბევრი დიდად განათლებული კაცია; უფრო სუსტია წევრთა რიცხვით „მიწა-ადგილის ნაციონალიზატორები", რომელთაც დიდებული მეცნიერი და დარვინის მეგობარი ალფრედ ვალლისი მეთაურობს; არიან კიდევ „Fabian Society". „Humanitarian League" და სხვანი. თვითეულს მათგანს ცალკე დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს; მაგრამ ერთად, განსაკუთრებით მუშათა და ხელოსანთა კავშირებთან სიახლოვის გამო (Trade Union), დემოკრატიის ამ საზოგადოებებს შეუძლიანთ უძლიერესი საპოლიტიკო დასი შეადგინონ. ჯერ ეხლავე რადიკალთა და სოციალისტთა დეპუტატებს—ჯონ ბერნსა, ლლოიდ ჯარჯსა, კეირჰარდსა და სხვათ, თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ოპოზიციის შორის.

მაგრამ რათაა მათი რიცხვი ეგრე მცირე პარლამენტში? იკითხავს თავის და უნებურად მკითხველი. პასუხი სულ უბრალოა: ეს ორგანიზაციები პოლიტიკურად და ისტორიულად სულ ახალგაზრდანი არიან. უხნიერესი იმათგანი სულ ოცი წელიწადია, რაც არსებობს, სხვების ისტორია 5, 8 და 12 წელს არცკი აღემატება. სხვა მიზეზებიცაა იმისი, რომ ისეთი ნიჭიერი და შესანიშნავი კაცი, მაგალითად, როგორიც გაინდმანია, პარლამენტში არ არის.

საქმე ისაა, რომ როგორც გაინდმანი, ისე აქაური სოციალ-დემოკრატები ვიწრო დასობრივ პროგრამმას მისდევენ და ერიდებიან სხვა რომელსამე დასსთან კომპრომისს. ასეთი განსაზღვრული განმარტოვება მეტად საქები და, ასე გასინჯეთ, სავალდებულო ხაქმეა სარევოლიუციო დასისათვის, მაგრამ არც გაინდმანი და არც იმისი მეგობრები რევოლიუცენერები არ არიან. როგორც ყველა მარქსისტი, ისინიც საპარლამენტო და სამშვიდო რეფორმების მომხრენი არიან. 1848 წლიდგან არც ერთი მარქსისტი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში არ ჩარეულა სარევოლიუციო მოძრაობაში. თვით მოძღვრებაც ანტი-რევოლიუციონურია ისევე, როგორც მათი ტაქტიკა. მაგრამ ინგლისში, 1802 წლიდგან დაწყებული, მუშათა საკანონმდებლო სოციალური რეფორმები (სამუშაო საათების შემცირება, საქარხნო კანონები, პურის კანონის გაუქმება, პირველი და მეორე საარჩევნო რეფორმები და სხვანი) პარლამენტში განხორციელებულ იქმნენ ოვენისა, სატლერისა, კობდენისა და სხვათა გავლენით. რატომ არა სცდილობს ბურჟუაზიის პროგრესისტთა და რეფორმატორთა დახმარებით პარლამენტში შესვლას ისეთი ჭკვიანი და განათლებული კაცი, როგორიც გაინდმანია, რომლის პარლამენტში ყოფნაც თვალსაჩინო მოვლენად ჩაითვლება? აი ჯონ ბერნსი, როგორც მუშა, ადვილად მიჰხვდა, რომ პირველი საქმე რეფორმატორისათვის პარლამენტში შესვლაა. იგი შეუერთდა კიდეც რადიკალებს და ეს ათი წელიწადია პარლამენტში, სადაც მან საპატიო გავლენა მოიპოვა, მუშათა კანონმდებლობისათვის გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე გერმანიის ყველა დეპუტატებმა რეიხსტაგში.

ვიმეორებ, განკერძოება, განმარტოება სავალდებულოა რევოლიუციონერთათვის; იგი შეადგენდა ბლანკისა, მაძინისა და სხვა რევოლიუციონერთა ძალას. მშვიდობისმოყვარე რეფორმატორი ამა თუ იმ რეფორმისათვის უპირველეს ყოვლისა მოკავშირეებს უნდა ეძებდეს და კანონმდებელთა შორის უნდა იყვეს. რასაკვირველია, მან არ უნდა უღალატოს თავისს profession de foi-ს. რასაც ბურჟუაზიის რადიკალ-რეფორმატორები ბერნსა და კეირ-ჰარდს არ მოსთხოვენ, იმას არ მოსთხოვენ არც გაინდმანს. როგორც ჭკვიანს, დიდად განათლებულს და გამბედავ საპარლამენტო მებრძოლს, გაიდმანს პარლამეტში სიხარულით მიეგებებიან რადიკალები.

ამ ბოლოს დროს გაინდმანმაც სცნო მგონი ეს მარტივი ჭეშმარიტება. თავის მიერვე დაარსებულ ფედერაციის მიმართ დაბეჭდილს ღია წერილში, რომელშიაც განმარტავს რა იმ მიზეზებს, რა მიზეზებითაც თავს ანებებს ფედერაციას, გაინდმანი აცხადებს, რომ მსურს განვთავისუფლდე დასობრივ განმარტოებისაგან და დამოუკიდებლად, ჩემისავე პასუხის-მგებლობით შევუდგე ბრძოლასაო. თუ ლიბერალები და რადიკალები მოახერხებენ იმის პარლამენტში შეყვანას, ჩემბერლენი, ასკიტი და ამხ. ახალ ძლიერ მტერს გაიჩენენ, რომელთან ბრძოლაც ეგრე ადვილი არ იქმნება.

მაგრამ რადიკალები დაუახლოვდებიან-კი უკიდურეს დემოკრატებსა და სოციალისტებს? ხოლო ეს უკანასკნელნი შეერთდებიან რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად? —ყველა ამის პასუხს მახლობელი, ძალიან მახლობელი მომავალი გვაჩვენებს.

ვ. მარველი.

მინისტროც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მეც დავეხმარები. მტკიცედ მრწამს, რომ დიდი უმრავლესობა ხალხისა, რომელიც ამ მინისტრების მოწვევაში თავის სურვილის განხორციელებას ჰხედავს, საქმით დაამტკიცებს, რომ არამც-თუ თავისგანვე არჩეულ კაცებს, როგორც ოპოზიციის წინამძღოლებს, მხარს მისცემს, არამედ დაეხმარება იმათ, როგორც მთავრობის წინაშე პასუხის მგებელ წინამძღვრებს. გთხოვთ ჩემი გულ-წრფელი სალამი გადასცეთ ყველა იმათ, ვისის სახელითაც აქ მოხვედით. იმედი მაქვს, დღევანდელი ცვლილება დაჰბადებს თანხმობას და ერთობას სამშობლოს საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.“

სადღესასწაულო სადილის დროს, რომელსაც 2,200 კაცი დაესწრო, რჩევის თავმჯდომარემ დეინტცერმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც სამინისტროს მოღვაწეობის გეგმა დაახასიათა: სისხლის სამართლის და საპოლიტიკო საქმეებში ნაფიც მსაჯულთა შემოღება, სახალხო დაცვისათვის მზრუნველ კომისიის დაარსება, მცირე მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესება, გადასახადთა სისტემის შეცვლა და, სხვათა შორის, გაუქმება ათის თავის გადახდისა.

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდან იუწყება, რომ რაზმს, რომელიც აფეთქებულ მატარებელს ახლდა გამაანკრალში, მოუკლეს პოდპოლკოვნიკი ვანდელერი, ამასთანავე 9 მოკლულია და 17 დაჭრილი. დაჭრილები პრეტორიაში მიიყვანეს. რაზმში 45 კაცი იყო.

ხარკოვი. ავაზაკ ბოშათა მეორე ბრბო სამხედრო სასამართლოს გადასცეს; საქმე გაირჩევა სექტემბერში. იმათ ჰბრალდებათ წარსული წლის სექტემბრის განმავლობაში 7 დანაშაულობის ჩადენა და 8 მკვლელობა, გარდა იმ საზიზღარ მკვლელობისა ნოვო-ივანოვის სასოფლო სამმართველოში, სადაც 9 კაცი მოჰკლეს.

პეტერბურგი. მოვიდა მისი უმაღლესობა პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგისა მეუღლითურთ.

კონსტანტინოპოლი. დიპლომატიურ და ოფიციალურ წრეებში უარსა-ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ პორტას დაევალებინოს თავის წარმომადგენელთათვის მოელაპარაკნენ სახელმწიფოებს ოსმალეთში მათ ფოსტამტების გაუქმების შესახებ.

კორინეინი. კანცლერი ბერლინში დაბრუნდა, აქედგან დანციგში წავა, სადაც იმპერატორები ერთმანეთს ინახულებენ.

პარიჟი. ჟირონდის დეპარტამენტის მთავარმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მთავრობამ ისარგებლოს რუსეთის იმპერატორის მოსვლით და სთხოვოს რუსეთის მთავრობას, ღვინოზედ დაკლებულ იქმნას საბაჟო გარდასახადი. გაზეთი, რომელსაც ოფიციოზურ წრეებთან კავშირი აქვს, იცავს ამ თხოვნას და აცხადებს, ეს საუკეთესო შემთხვევაა ორმა სახელმწიფომ დაამტკიცოს, რომ ისინი მზად არიან ეკონომიურ ნიადაგზედაც ისეთი დახმარება გაუწიონ ერთმანეთს, როგორც საპოლიტიკო საქმეებში უწევენო.

კაპშტადტი. როგორც ისმის, გერცოგისა და ლატეგანის რაზმები ორანჟეს რესპუბლიკაში იქმნენ განდევნილი. ტრანსვაალის აღმოსავლეთის გზა ალეკმაზრის მახლობლად ბურებმა დააქციეს, შემდეგ მატარებელს დაეცნენ, მაგრამ მან თავს უშველა.

კაპის ახალშენიდგან იუწყებიან, რო ბარკლისტის ოლქის ბურები შევიდნენ კალუში, სადაც დროებით დასახლებული არიან ადგილობრივი მცხოვრებნი. იუწყებიან აგრეთვე, რომ გადაწყვეტილია იმ ბურების ცოლ-შვილი, რომელნიც ბრძოლას განაგრძობენ, გადაასახლონ ზღვის ნაპირებისაკენ, სადაც ბანაკები იქმნება გამართული. თუ ეს მოახერხეს, რკინის გზა უთუოდ შესძლებს იოჰანესბურგში იმდენ სურსათის გადაზიდვას, რამდენიც ომამდე იყო იქა.

ვალლაშის მესერიჩი. გუშინ აკურთხეს ძეგლი, რომელიც დაუდგეს აუსტერლიცთან დაღუპულ მებრძოლთ. დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენელნი, მინისტრები, რუსეთის ელჩი და სხვანი. შეასრულეს რუსეთისა და ავსტრიის ჰიმნები. ამის შემდეგ გამართულ ნადიმზედ ძეგლის დამდგმელ კომიტეტის თავმჯდომარემ ავსტრიის იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა, ხოლო კინსკიმ—რუსეთის იმპერატორისა.

პეტერბურგი. „პატ. თეატრის“ შენობა დაზღვეული იყო 235,000 მანეთად. ზარალი 600,000 მანეთია გამოცხადებული. თეატრის ქონება დაზღვეული არ იყო. ეს ქონება დაფასებულია 80,000 მანეთად. ცეცხლის გაჩენის მიზეზად მუშის გაუფრთხილებლობას სთვლიან.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილიq 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

სააგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ნაძულები ცნობა და „ზემმელის ძველი ქარხნის“ საწინააღმდეგო აზრი.

რადგანაც ამ ბოლოს დროს გაზეთებში სხვა-და-სხვა გვარი ცნობები დაიბეჭდა, რომ ჩვენს ქარხანაში კარგის ღირსებისა სელტერის და მსხლის წყალი არ მზადდება, საჭიროდ ვცნობ მოგახსენოთ, რომ ეს ცნობები ნამდვილი არ არის. ქარხნის დაარსებიდგან დღემდის აღნიშნული წყლები მუდამ სუფთად და საუკეთესო მასალისგანა მზადდება: დაწმენდილის მარილისა და ნამდვილ ხილეულ მარსებისა და სიროფებისაგან, როგორც ქვევით ჰნახავთ. თუ რომ რაიმე ნაკლი აღმოჩენილა, რაიცა დიდს მეურნეობაში აუცილებელია, ეს უნდა აიხსნას არა დაუდევრობით, არამედ უბრალო შემთხვევით, რის გამოც ჩვენმა ქარხანამ მოიპოვა ნდობა საზოგადოებისა. თვითონ ჩვენი მეტოქეებიც-კი უპირტესობას ჩვენს ფირმას აძლევენ, რაიცა, სამწუხაროდ, ხშირად ჩვენივე საზარალოა, მაგ.: ჩვენი იარლიკების ფორმა გადიღეს არა მარტო ქ. ტფილისის ქარხნებმა, არამედ სხვა მახლობელ ადგილებისამაც; გარდა ამისა, შემოიღეს და აწერენ თვისს იარლიკებზედ: „ზემმელის მოურავათ ნამყოფი“, „ზემმელის ქარხნისაზედ არა ნაკლები“, ხოლო თვითონ ფირმას წვრილის ასოებითა ჰბეჭდენ.

იმის გარდა, რომ ჩვენის ფირმისმონაწილეობითა და სახელით ისარგებლონ, კარგა დიდს ფულსაც იძლევიან. ახლა ტფილისში უკვე ოთხი ქარხანაა ჩვენის იარლიკებით დაარსებული, მაგრამ რა უფრო სამწუხაროა, ეს ის, რომ ჩვენს ძველს ბოთლებში სხვა წყალს ასხამენ და ასაღებენ. რა მიზეზია ნეტა და რათა შერებიან ასრე? ან ამ შემთხვევაში უსიამოვნება თავიდგან როგორ ავიცილოთ? მიზეზი: „სხვისა ხელით ნარის გლეჯაა“.

ყოველივე ეს, ეჭვი არ არის, ჩვენის ქარხნის უპირატესობას ამტკიცებს, მაგრამ საზოგადოება ხშირად ტყუვდება.

გთხოვთ ამისათვის აქვე მოყვანილი სამკურნალო ოქმი ჩაიკითხოთ.

„ზემმელის ძველი ქარხნის“ სამკურნალო გასინჯვა-დათვალიერება.

ოქმი.

1901 წ., 9 აგვისტოს, ქ. ტფილისი. თანახმად ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების წინადადებისა, ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერელთ, გავსინჯეთ ხელოვნურ, სამკურნალო წყლებისა და ლიმონადების „ძველი ქარხანა ზემმელისა ტფილისში“ და აღმოჩნდა: რომ ქარხნის შენობა სამკურნალო და ხილეულობის წყლების მოსამზადებლად ყოველმხრივ შესაფერად მოწყობილია. სისუფთავე და წესიერება სამაგალითოა. გავხსენით ყველა აპარატები, გავსინჯეთ შიგნიდგანა და აღმოჩნდა, რომ მოკალულნი და სუფთად შენახულნი იყვნენ. ფილტრები ბერლინიდგან გამოწერილ ნახშირიდგან არის მომზადებული ბერკენფელდის სისტემისა. ქარხანის ერთს ოთახში სდგას სადისტილაციო აპარატი, რომელიც ბლომა წყალს იძლევა სხვა-და-სხვა სამკურნალო და ხილეულ წყლებისათვის. რაც შეეხება მასალა', რომლისგანაც აღნიშნული წყლები მზადდება (მაგ. შაქარი, სამზარეულო მარილი, სოდა, სხვა-და-სხვა სიროფები: წითელი მოცხარისა, ბჟოლისა, ალუბლისა, მარწყვისა, შავი მოცხარისა, თუთისა და სხ.), ესაც ბლომად და კარგის თვისებისა აღმოჩნდა. ყველა სიროფები განსაკუთრებულს სარდაფში ინახება, შუშის ჭურჭელში. რადგანაც ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერელთ, ლი-
მონის წყალში ვერავითარ
თიერება ვერ ვპოვეთ
სიმჟავე წამოვიდეთ, რომ ქიმიურად გა
საკვლევად სამკურნალო განყოფილებ
თვის გადაგვეცა. დადგენილია ოქმი
კურნალო განყოფილებას წარედგინოს
ჰირო განკარგულებისათვის.

ტფილისის საგუბერნიო მკურნა
თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებ
ბ-ნი ბროძელი, დოქტორი მედიცი
მრევლიშვილი, მაგისტრი ფარმაციისა
ტენი, პროვიზორი იაკუბოვიჩი, პრო
ზორი კოლ. სოვ. ო. ზემმელი.

ო. ზემმელის ქარხნიდგან წამოღებ
ლიმონის სიმჟავის ჩემ მიერ ქიმიურ
გამოკვლევამ სპილენძი არ აღმოაჩინა.
ოტტენი. საგუბერნიო მკურნალის თა
შემწის თანამდებობის აღმასრულებ
ბროძელი. (1—197—1

ქართული დრამატიულის საზ
გადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებ
გაჰმართავს

გამოსაცდელ წარმოდგენ

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენ
მონაწილეობის მიღება, იმან უ
მიჰმართოს საზოგადოების კან
რაში (სათ.-ვად-აზნაურო ქარვას
ში, თეატრის გვერდზედ) ყოვ
დღე, დილის 10 საათიდგან ნა
ადღევის პირველ საათამდე.
(55ვ—

საატფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
# დეპო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—84)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერც
განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მო
მზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნე

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902
მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერც
ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტ
ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკ
მერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,
მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурно
почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღ
ბა დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თ
თმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში,
ხლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტო
ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღ
მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტ
რაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართ
კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—19

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.